

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №17

2014 წლის 5 თებერვალი

ქ. თბილისი

საავიაციო მოვლენათა შეტყობინების და საავიაციო მოვლენათა შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის ბრძანება №109 - ვებგვერდი, 16.07.2014წ.

საქართველოს საჰაერო კოდექსის 8³ მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „საავიაციო მოვლენათა შეტყობინების და საავიაციო მოვლენათა შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი“.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის ბრძანება №109 - ვებგვერდი, 16.07.2014წ.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 ივლისიდან.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი

გურამ ჯალაღონია

საავიაციო მოვლენათა შეტყობინების და საავიაციო მოვლენათა შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის ბრძანება №109 - ვებგვერდი, 16.07.2014წ.

მუხლი 1. წესის მიზანი

1. წესის მიზანია, საავიაციო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება საავიაციო მოვლენის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის შეტყობინების, შეგროვების, შენახვის, დაცვის, მოკვლევის და გავრცელების გზით.

2. საავიაციო მოვლენის შეტყობინების მიზანია საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების პრევენცია და არა ვინმეს ბრალეულობისა და/ან პასუხისმგებლობის დადგენა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის ბრძანება №109 - ვებგვერდი, 16.07.2014წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) საავიაციო მოვლენა - საავიაციო შემთხვევა, სერიოზული ინციდენტი ან ინციდენტი, აგრეთვე, საჰაერო ხომალდის და/ან მისი სისტემის გაუმართაობა, სააერნაოსნო მომსახურების გაწევისას გამოყენებული სისტემების და ტექნიკური საშუალებების მტყუნება ან სხვა სახის უჩვეულო ვითარება, რომელმაც ზემოქმედება მოახდინა ან რომელსაც შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა ფრენის უსაფრთხოებაზე;

ბ) დეიდენტიფიკაცია - მიღებული შეტყობინებიდან მიმწოდებლის პირადი მონაცემების და იმ ინფორმაციის ამოღება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ცნობილი გახდეს ინფორმაციის მიმწოდებლის ან მესამე მხარის ვინაობა;

გ) არადამსჯელობითი გარემო - სამუშაო გარემოს კონცეფცია, როდესაც სამუშაოს შემსრულებელი ან სხვა პირი არ დაისჯება იმ ქმედების ან გადაწყვეტილებისათვის, რომელიც შეესაბამება მის გამოცდილებასა და ცოდნას, იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი არ ჰქონდა განზრახვას ან გაუფრთხილებლობას.

დ) დაინტერესებული პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, მიუხედავად სამართლებრივი ფორმისა, სახელმწიფო უწყება, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საავიაციო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებაში და რომელიც შედის დანართ №4-ში განსაზღვრული დაინტერესებული მხარეების რომელიმე კატეგორიაში;

ე) საკონტაქტო პირი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს სისტემაში შემავალი



საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი;

ვ) საბორტო თვითმწერი – ნებისმიერი თვითმწერი მოწყობილობა (CVR/FDR/QAR/PMR/PCMCIA CARD/FLASH DRIVE), რომელიც მონტაჟდება სხ-ზე და წარმოადგენს დამატებითი ცნობების წყაროს საავიაციო მოვლენის მოკვლევის პროცესში.

შენიშვნა:

ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ ქვეყნდება სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის ბრძანება №109 - ვებგვერდი, 16.07.2014წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

მუხლი 3. რეგულირების სფერო

1. წესი ადგენს იმ საავიაციო მოვლენების შეტყობინების ვალდებულებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ან შეეძლო საფრთხე შეექმნა საქართველოს საჰაერო სივრცეში ან საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში მყოფ სამოქალაქო საჰაერო ხომალდისათვის მასზე მყოფი ან სხვა ნებისმიერი პირისათვის, ასევე მოწყობილობებისა და დანადგარებისათვის, რომლებიც გავლენას ახდენენ საჰაერო ხომალდის უსაფრთხო ფრენაზე.

2. ამ წესით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“ (შემდგომ - სააგენტო).

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

მუხლი 4. საავიაციო მოვლენის სავალდებულო შეტყობინება

1. საავიაციო მოვლენები, რომლებიც ექვემდებარება სავალდებულო შეტყობინებას, განსაზღვრულია ამ წესის №1 დანართით.

2. ამ წესის №1 დანართით განსაზღვრული საავიაციო მოვლენების შესახებ შეტყობინების სააგენტოში წარდგენის ვალდებულება აკისრიათ ამ წესით დადგენილი ფორმით:

ა) იმ საჰაერო ხომალდის მეთაურს, ხოლო თუ მას არ შეუძლია წარადგინოს შეტყობინება, ეკიპაჟის თანამდებობით მომდევნო წევრს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, ან არ არის რეგისტრირებული საქართველოში, მაგრამ მის ფრენებზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველო;

ბ) პირს, რომელიც ახორციელებს სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ან მისი მოწყობილობისა თუ შემადგენელი ცალკეული ნაწილის დამზადებას, ტექნომსახურებას ან მოდიფიცირებას;

გ) პირს, რომელიც ხელს აწერს სამოქალაქო საჰაერო ხომალდის, მისი რომელიმე აღჭურვილობის ან რაიმე ნაწილის ტექნომსახურების შემოწმების სერტიფიკატს ან ექსპლუატაციაში დაშვების სერტიფიკატს;

დ) საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეს;

ე) საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურების ოფიცერს;

ვ) საფრენოსნო მონაცემთა დამუშავების ოპერატორს;

ზ) საავიაციო მეტეოროლოგს;

თ) სააერნაოსნო ინფორმაციის ოფიცერს;

ი) პირს, რომელიც დაკავშირებულია სააერნაოსნო მომსახურების გაწევისას გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებათა მონტაჟთან და ტექნიკურ მომსახურებასთან;

კ) პირს, რომელიც ასრულებს საჰაერო ხომალდის ხმელეთზე მომსახურებასთან დაკავშირებულ ფუნქციებს, მათ შორის, საწვავით მომსახურებას, ტექნომსახურებას, ამზადებს კრებითი ჩატვირთვის უწყისს, ახორციელებს ბარგის/ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვას, შემოყინვის საწინააღმდეგო სითხით დამუშავებას და ბუქსირებას;



ლ) პირს, რომელიც ახორციელებს აეროდრომის ტექნიკურ მომსახურებას და სააეროდრომო შუქტექნიკური აღჭურვილობის მომსახურებასთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

მუხლი 5. სავალდებულო შეტყობინების წარდგენის წესი

1. საავიაციო მოვლენის შესახებ სავალდებულო შეტყობინება წარდგენილი უნდა იქნეს მოვლენის მოხდენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 72 საათისა.
2. ამ წესის მე-4 მუხლის მეორე პუნქტში მითითებულმა პირებმა საავიაციო მოვლენების შესახებ შეტყობინება უნდა განახორციელონ სააგენტოს ვებგვერდზე (www.gcaa.ge) გამოქვეყნებული ფორმის შესაბამისად.
3. ავიასაწარმოები, რომლებსაც „უსაფრთხოების მართვის სისტემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 29 დეკემბრის №206 ბრძანებით ევალეზა უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა, ვალდებულნი არიან დანერგონ საავიაციო მოვლენების სავალდებულო შეტყობინების სისტემა და შეიმუშაონ შესაბამისი პროცედურები.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

მუხლი 6. საავიაციო მოვლენის ნებაყოფლობითი შეტყობინება

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება შეატყობინოს სააგენტოს იმ საავიაციო მოვლენის შესახებ, რომლის მონაწილე ან მოწმეც იყო და თვლის, რომ მოვლენა წარმოადგენდა ფრენის უსაფრთხოებისთვის პოტენციურ საფრთხეს, ან მან რისკის ქვეშ დააყენა საჰაერო მოძრაობის უსაფრთხო მართვა.
2. ნებაყოფლობითი შეტყობინების წარდგენა შესაძლებელია კომუნიკაციის ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით ან სააგენტოს ვებგვერდის (www.gcaa.ge) საშუალებით.
3. შეტყობინების წარმდგენი ან შეტყობინებაში ნახსენები პირის შესახებ ინფორმაცია არ იქნება გამჟღავნებული სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან შესაბამისი პირის თანხმობისა.
4. ავიასაწარმოები, რომლებსაც ევალეზა უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა, ვალდებულნი არიან დანერგონ ნებაყოფლობითი შეტყობინების სისტემა, რათა ხელი შეეწყოს:

- ა) საავიაციო მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის შეგროვებას, რაც შესაძლოა მიღებული არ იყოს სავალდებულო შეტყობინების სისტემით;
- ბ) ფრენის უსაფრთხოების შესახებ სხვა ინფორმაციის შეგროვებას, რომელსაც შემტყობინებელი თვლის საავიაციო უსაფრთხოებისთვის ფაქტობრივ ან პოტენციურ საფრთხედ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

მუხლი 7. ინფორმაციის დამუშავება ავიასაწარმოში

1. ყველა საავიაციო მოვლენა უნდა შეფასდეს ან/და მოკვლევად იქნეს ავიასაწარმოს მიერ უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში. შეფასების ან/და მოკვლევის ანგარიშში უნდა აისახოს საავიაციო მოვლენით წარმოქმნილი რისკები და ვითარების სიმძიმე, ასევე საავიაციო მოვლენის გამომწვევი მიზეზები.
2. საავიაციო მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ფრენის უსაფრთხოებაზე, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაანალიზებული საწარმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ.
3. ავიასაწარმომ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების და გამოსასწორებელი ღონისძიებების შემუშავება, წერილობითი ფორმით შენახვა და მათი შესრულების მონიტორინგი.
4. საავიაციო მოვლენის შეფასების ან/და მოკვლევის ანგარიში უნდა წარედგინოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.
5. საავიაციო მოვლენის შეფასების ან/და მოკვლევის ანგარიში და მოკვლევის მასალები ავიასაწარმოში უნდა ინახებოდეს 7 წლის განმავლობაში.

[მუხლი 7. საავიაციო მოვლენების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და მოკვლევა ავიასაწარმოში

1. ავიასაწარმო ვალდებულია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე პირი, საავიაციო მოვლენების შესახებ მიღებული ინფორმაციის შეგროვების, შეფასების, დამუშავების, მოკვლევის და შენახვის მიზნით.



2. შეტყობინებების დამუშავება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ გამოირიცხოს მისი გამოყენება სხვა მიზნით, რომელიც არ უკავშირდება ფრენის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფდეს საავიაციო მოვლენის შეტყობინების წარმდგენი და შეტყობინებაში მოხსენიებული პირების კონფიდენციალობის დაცვას, არადასჯელობითი გარემოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

3. საავიაციო მოვლენის მოკვლევის ობიექტურად წარმართვის მიზნით, რომლის მონაწილეც არის საქართველოში რეგისტრირებული რამდენიმე ავიასაწარმო, საწარმოები ვალდებული არიან გაცვალონ მოვლენასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სურვილისამებრ ჩაერთონ მოკვლევაში.

4. საავიაციო მოვლენები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ფრენის უსაფრთხოებაზე, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოკვლეული საწარმოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში და დაადგინოს საავიაციო მოვლენის გამომწვევი მიზეზები.

5. საავიაციო მოვლენის მოკვლევის საფუძველზე, ავიასაწარმო ვალდებულია საჭიროებისამებრ განსაზღვროს მაკორექტირებელი ან პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია საავიაციო უსაფრთხოების ღონის ასამაღლებლად.

6. თუ საავიაციო მოვლენის მოკვლევის შედეგად ავიასაწარმო განსაზღვრავს სათანადო მაკორექტირებელ ან პრევენციულ ღონისძიებებს, იგი ვალდებულია:

ა) დროულად განახორციელოს დასახული ღონისძიებები;

ბ) დანერგოს დასახული ღონისძიებების რეალიზებასა და ეფექტურობაზე მონიტორინგის პროცესი.

7. ავიასაწარმომ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების და გამოსასწორებელი ღონისძიებების შემუშავება, წერილობითი ფორმით შენახვა და მათი შესრულების მონიტორინგი.

8. საავიაციო მოვლენის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში ავიასაწარმომ უნდა წარუდგინოს სააგენტოს საავიაციო მოვლენის მოკვლევის წინასწარი შედეგები და ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, ხოლო მოკვლევის საბოლოო შედეგები სააგენტოს უნდა წარედგინოს არაუგვიანეს 90 დღისა.

9. მოკვლევის საბოლოო ანგარიში, მინიმუმ, უნდა მოიცავდეს საავიაციო მოვლენის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) შინაარსი;

ბ) საავიაციო მოვლენის მომკვლევეთა ჯგუფი;

გ) ფაქტობრივი მონაცემები;

დ) მონაცემების ანალიზი;

დ.ა) საავიაციო მოვლენის განმაპირობებელი ფაქტორები;

ე) დასკვნები;

ე.ა) საავიაციო მოვლენით წარმოქმნილი რისკის ინდექსი;

ე.ბ) საავიაციო მოვლენის გამომწვევი მიზეზები;

ვ) ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

10. მოკვლევის საბოლოო ანგარიში და სხვა ჩანაწერები, რომელიც უკავშირდება კონკრეტული საავიაციო მოვლენის მოკვლევას, უნდა ინახებოდეს საწარმოს მიერ მინიმუმ შვიდი წლის განმავლობაში და მოთხოვნისას წარედგინოს სააგენტოს.

11. საავიაციო მოვლენის შესახებ საბორტო თვითმწერის მონაცემები საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტმა



უნდა შეინახოს საავიაციო მოვლენის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში ან მეტი დროით, თუ სააგენტო ამას მოითხოვს.

12. ავიასაწარმო ვალდებულია რეგულარულად აცნობოს შესაბამის პირებს (თანამშრომლებს ან კონტრაქტორებს) იმ საავიაციო მოვლენების მოკვლევის და შემდგომი ქმედებების შესახებ, რომლის მიმართაც მიღებული იყო პრევენციული ან მაკორექტირებელი ღონისძიებები.

13. ავიასაწარმოები, რომელთაც ევალებათ უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა, ვალდებული არიან სააგენტოს კვარტალურად წარუდგინოს წინა სამი თვის უსაფრთხოების მდგომარეობის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) სტატისტიკურ მონაცემებს (ოპერაციების რაოდენობა, ნაფრენი საათი ტიპების მიხედვით და ა.შ.);

ბ) აგრეგირებულ ინფორმაციას საავიაციო მოვლენების რაოდენობის და სახეობის შესახებ, რომელიც მიღებულია საავიაციო მოვლენების შესახებ სავალდებულო და ნებაყოფლობითი შეტყობინებების სისტემებით;

გ) ტენდენციების განსაზღვრას და შედარებით ანალიზს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან (მინიმუმ ბოლო სამი წელი);

დ) განხორციელებულ ღონისძიებებს და დაგეგმილ მაკორექტირებელ ღონისძიებებს.

14. გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი მოთხოვნებისა, სააერონავიაციო მომსახურების საწარმოს „უსაფრთხოების მდგომარეობის წლიური ანგარიშის“ მინიმალური შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის №3 დანართს. (ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან)]

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

მუხლი 7¹. საავიაციო მოვლენის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა და სათანადო გამოყენება ავიასაწარმოში

1. ავიასაწარმომ არ უნდა გახადოს ხელმისაწვდომი და არ უნდა გამოიყენოს საავიაციო მოვლენის შესახებ ინფორმაცია მის დადგომაში ბრალეული ან პასუხისმგებელი პირების დასადგენად, ან იმ მიზნით, რომელიც არ უკავშირდება საავიაციო უსაფრთხოების დონის შენარჩუნებას ან ამაღლებას.

2. საავიაციო მოვლენების შესახებ სავალდებულო და ნებაყოფლობითი სისტემით მიღებული ინფორმაცია ავიასაწარმომ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ წესით განსაზღვრული მიზნისათვის.

3. საავიაციო მოვლენის ტიპის ან კლასიფიკაციის მიუხედავად, მათ შორის საავიაციო შემთხვევისა ან სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში, ავიასაწარმოს მონაცემთა ბაზაში არ რეგისტრირდება ცალკეული პირების პერსონალური მონაცემები.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

მუხლი 8. ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება სააგენტოში

1. სააგენტო უზრუნველყოფს საავიაციო მოვლენების შესახებ სავალდებულო და ნებაყოფლობითი ფორმით მიღებული შეტყობინებების შეგროვებას.

2. საავიაციო მოვლენის შესახებ შეტყობინების მიღებისას სააგენტო:

ა) ანალიზებს და ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას;

ბ) საჭიროებისამებრ ახორციელებს შესაბამის შემოწმებას/ინსპექტირებას ავიასაწარმო(ებ)ში, რათა დადგინდეს გატარდა თუ არა პრევენციული ღონისძიებები შეტყობინების სახით შემოსულ საავიაციო მოვლენაზე;

გ) საჭიროების შემთხვევაში გამოსცემს მითითებებს;

დ) ახორციელებს სააგენტოს მითითებების შესრულების ზედამხედველობას.

მუხლი 9. საავიაციო მოვლენათა მონაცემთა ბაზა

1. საავიაციო მოვლენათა ანალიზის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტო აწარმოებს მონაცემთა ბაზას, სადაც განათავსებს დეიდენტიფიცირებულ მონაცემებს ყველა საავიაციო მოვლენის შესახებ.

2. სააგენტოს მონაცემთა ბაზა, ინფორმაციის გაცვლის გამარტივების მიზნით, თავსებადი უნდა იყოს ICAO-სა (ADREP) და ევროგაერთიანების საავიაციო მოვლენათა შეტყობინების (ECCAIRS) შესაბამის მონაცემთა ბაზებთან.

3. სააგენტო უზრუნველყოფს საავიაციო მოვლენების მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობას საქართველოში



მუხლი 10. ინფორმაციის გაცვლა

1. სააგენტო თანამშრომლობს სხვა სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებთან საავიაციო მოვლენათა მონაცემთა ბაზაში თავმოყრილი ინფორმაციის გაცვლის, რისკების მიზნების და ასევე სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების მიმართულებების შესახებ ზოგადი სურათის მისაღებად.
2. სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, საავიაციო მოვლენის შესახებ ინფორმაციას აწვდის იმ სახელმწიფოს საავიაციო ხელისუფლებას, რომლის საჰაერო სივრცეშიც მოხდა საავიაციო მოვლენა ან/და საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის ქვეყანას ან/და საჰაერო ხომალდის დამამზადებელ ან/და ექსპლუატანტის სერტიფიკატის გამცემ ქვეყანას.

მუხლი 11. ინფორმაციის გავრცელება

1. სააგენტო უფლებამოსილია, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ყოველწლიურად გამოაქვეყნოს საავიაციო უსაფრთხოების შესახებ ანგარიში, სადაც ასახული იქნება საავიაციო მოვლენათა ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია.
2. (ამოღებულია - 12.06.2017, №92).
3. (ამოღებულია - 12.06.2017, №92).
4. სააგენტო უფლებამოსილია, ხელმისაწვდომი გახადოს მონაცემთა შესწავლის საფუძველზე მიღებული შედეგები, შესაბამის დაინტერესებულ პირთათვის, რომლებიც აღნიშნულ ინფორმაციას გამოიყენებენ სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის.
5. განაცხადს ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ დაინტერესებული პირები წარუდგენენ საკონტაქტო პირს დანართი №5-ით დადგენილი ფორმით.
6. საკონტაქტო პირმა უნდა შეაფასოს, რამდენად დასაბუთებული და განხორციელებადია ინფორმაციის მოთხოვნა.
7. დაინტერესებულ პირს მიეწოდება ინფორმაცია, რომელიც მას სჭირდება საკუთარი საქმიანობის მიზნებისათვის. ინფორმაცია, რომელიც არ უკავშირდება დაინტერესებული პირის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ მოწყობილობებს, საქმიანობას ან საქმიანობის სფეროს, გაიცემა მხოლოდ ზოგადი ან არაიდენტიფიცირებული ფორმით, თუ ინფორმაციის მოთხოვნა დეტალურად არ არის დასაბუთებული პირის მიერ.
8. ინფორმაციის გაცემა ხდება წერილობით. განაცხადის წარდგენისას დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიუთითოს საკონტაქტო პირთან კომუნიკაციის დამატებითი ფორმა – ელექტრონული ფოსტა. ელექტრონული ფოსტის მითითების შემთხვევაში პირთან კომუნიკაცია ხორციელდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
9. საკონტაქტო პირმა უნდა აწარმოოს რეესტრი თითოეული ინფორმაციის მოთხოვნის განაცხადისა და მის მიერ მასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის ბრძანება №109 - ვებგვერდი, 16.07.2014წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

მუხლი 12. ინფორმაციის დაცვა

1. სააგენტო ვალდებულია და ნებაყოფლობითი შეტყობინებებით მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებს მხოლოდ ამ წესით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
2. სააგენტო ვალდებულია გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება, საავიაციო მოვლენის შეტყობინებით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად.
3. საავიაციო მოვლენის კლასიფიკაციის მიუხედავად, დაუშვებელია კონკრეტული პირების პირადი მონაცემების მონაცემთა ბაზაში შეტანა.
4. სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის მიმწოდებელი პირის პირადი მონაცემების კონფიდენციალობა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

1. ამ წესის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევების მიმართ გამოყენებულ იქნება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნორმები.
2. პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ საავიაციო მოვლენისათვის, რომლის მონაწილეც ის იყო, თუ საავიაციო მოვლენის შესახებ სააგენტოსათვის ცნობილი გახდა მისივე შეტყობინების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ადგილი ჰქონდა განზრახვას ან გაუფრთხილებლობას.
3. ავიასაწარმო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საავიაციო მოვლენის შესახებ შეტყობინებას, არ იქნებიან დასჯილნი ავიასაწარმოს მიერ შეტყობინების განხორციელების გამო.
4. ავიასაწარმომ, რომელსაც ევალება უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა, უნდა შეიმუშაოს შიდა



პროცედურა, რომელიც აღწერს, თუ როგორ მოხდება ამ მუხლის მე-3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული არადამსჯელობითი გარემოს პრინციპების დანერგვა და მისი შესრულების უზრუნველყოფა.

5. ავიასაწარმომ არ უნდა გამოიყენოს პასუხისმგებლობის ზომა წესების წინასწარგანუზრახავი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საავიაციო მოვლენის შეტყობინების სისტემის მეშვეობით, გარდა უხეში დაუდევრობით ან/და განზრახი დარღვევით გამოწვეული შემთხვევებისა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 12 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 13.06.2017წ.

